საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020145336903021

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/1622

23 / მარტი / 2021 წ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა გოგიაშვილს

ბატონო ლაშა,

თქვენი 2021 წლის 15 მარტის N28-282107490 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძევრში მდებარე 48.9 კვ.მ მიწის ნაკვეთი, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მდებარეობს ჩხარი-აჯამეთის მანგანუმის საბადოს კონტურში. აღნიშნულ ტერიტორიაზე პროდუქტული ფენა განლაგებულია სიღრმეზე და საბადოს დამუშავების შემთხვევაში წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრების მეშვეობით.

„წიაღია შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა, იმ პირობით, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე არ შეიზღუდება შემდგომში სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე გადაფარვის გარკვევის მიზნით, უნდა მიმართოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპვასმულია
ელექტრონულად

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ნანა ზამთარაძე

O-SGG-TJ-LT-2021-4-1/014351742

SOCAR
SAKORGGAZ

SAKORGGAZI JSC
13, Kiziki str. Tbilisi, Georgia, 0182

Tell: (+995 32) 243 92 75
E-mail :sakorggazi@socar.ge
www.socar.ge

№ O-SGG-TJ-LT-2021-4-1/01

01.04.2021

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა გოგიაშვილს

თქვენი მ/წლის 22.02. N28-282105373 წერილზე;

გაცნობებთ, რომ სს ,,საქორგგაზი'' არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წერილში აღნიშნული თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრში მდებარე უძრავი ნივთის (მიწის ნაკვეთის) განკარგვა იმ პირობით, თუ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიანტს ქსელით (ხაზობრივი ნაგებობით) სარგებლობაში არ შეექმნება არანაირი სახის დაბრკოლება და ახალი მესაკუთრე ვალდებული იქნება უზურნველყოს კომპანიის მიერ ნებისმიერ დროს უსასყიდლოდ და შეუფერხებლად ქსელით (ხაზობრივი ნაგებობით) სარგებლობა ქსელის დაცვის ზონის გათვალისწინებით.

აქვე გაცნობებთ, რომ 2010 წლის 14 აპრილის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების №1-1/525 "გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების" თავი მე-5 მუხლი 12 პუნქტი 5-ის თანახმად გაზსადენის დასაცავი ზონა განსაზღვრულია 15მ-ით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია "იმ საწარმოს ადმინისტრაციამ, რომლის ტერიტორიაზეც ტრანზიტით გადის გაზსადენი, უნდა უზრუნველყოს გაზის მიმწოდებელი საწარმოს მომსახურე პერსონალის დამვება გაზსადენის დათვალიერების და რემონტის ჩასატარებლად. საავარიო სიტუაციების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, ამასთან გაზის მეურნეობაში უსაფრთხოების წესების მიხედვით, მიკუთვნების ზოლი გაზსადენისათვის უნდა გამოიყოს არანაკლებ 4მ-სა, ასევე გაზსადენის დასაცავ ზონაში, სამშენებლო და მიწის სამუშაოების წარმოება დასაშვებია გაზის მიმწოდებელ საწარმოსთან შეთანხმებით, ხოლო მიკუთვნების 4მ-იან ზონაში დაუშვებელია გაზსადენის ჩახერგვა სხვადასხვა საგნებით, სამშენებლო და სხვა მასალების დასაწყოება.

ამასთან, კომპანიის წინაპირობაა ზემოაღნიშნული რეგულირებით დადგენილი დაცვის ზონების გათვალისწინებით, შესაბამისი უძრავი ქონება დატვირთული იქნას სერვიტუტით.

პატივისცემით ,

იმერეთის რეგიონალური ოფისის წარმომადგენელი

გიგა ზაუტაშვილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/3918
18/03/2021

3918-2-03-2-202103181410

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა გოგიაშვილს

ბატონო ლაშა,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2021 წლის 16 თებერვლის №28-2821047130 მომართვა, რომელიც შეეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სოფელ ძევრში, გაგა ქასრაშვილის (ბ/ნ 21001009987) განცხადების საფუძველზე, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოლაბურის ხიდი - თერჯოლა - ტყიბულის საავტომობილო გზის კმ16-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარცხენა მხარეს 12 მეტრის დაშორებით არსებული (დასარეგისტრირებელი) 48.9 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი SHP ფაილის მიხედვით) პრივატიზების საკითხს, შემდგომში მასზე მაღაზიის აშენების მიზნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი თანახმაა შეითანხმოს მოცემული 48.9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი SHP ფაილის მიხედვით) განკარგვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ,,საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ციბაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge